ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/ ს 1434 - 20

" 09 " 10 2020 წ.

დადგენილება №000390
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

09.10.2020წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა ლევან ჯღარკავამ განვიხილე, 2020 წლის 09 ოქტომბრის №000390 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ" შედგენილი, შ.პ.ს. „ნირან პროპერტის დეველოპმენტი"-ს (ს.ნ. №204564729; მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბესიკის ქ. №4, ბინა №24) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი, სტუდქალაქის მიმდებარედ, ნაკვეთი №07/045, საკ. კოდი №01.14.06.007.045-ზე, შ.პ.ს. „ნირან პროპერტის დეველოპმენტი"-ს მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 14 სექტემბრის №415423 ბრძანებით (№4290015 04.12.2018წ. ბრძანება) შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. ნაწილობრივ შეცვლილია რელიეფის დახრა. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების რაოდენობა, გაბარიტი და მათ ნაწილს მონაცვლებული აქვს ადგილი. ფასადებზე დამატებით მოწყობილია ფრანგული აივნები. სადარბაზოებში შეცვლილია ბინების რაოდენობა. **"ა-ზ" ფასადი:** გ ღერძზე ყველა სართულზე აივნებზე დამატებით მოწყობილია გამყოფი კაპიტალური კედლები. +51.00 ნიშნულზე ა ღერძის და ე ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კაპიტალური მოაჯირები. **"ზ-ა" ფასადი:** ზ-ე და ბ-ა მონაკვეთებში -7.50 ნიშნულის ქვევით შემცირებულია ვიტრაჟის სიმაღლე. გ ღერძზე ყველა სართულზე აივნებზე დამატებით მოწყობილია გამყოფი კაპიტალური კედელი. ე და ა ღერძების გარეთ +53.70 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური მოაჯირები. **"1-12" ფასადი:** აივნებზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური გამყოფი კედლები. 8-9 მონაკვეთში +1.14 ნიშნულზე გაუქმებულია ვიტრაჟი. ნაწილობრივ

შეცვლილია მოაჯირების მოწყობა, კაპიტალური მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. 7-8 მონაკვეთში +2.70 ნიშნულიდან +57.80 ნიშნულის ჩათვლით გაუქმებულია აივანი და კარის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა, ასევე გაუქმებულია ლითონის მოაჯირი. **"12-1" ფასადი:** 10-8 მონაკვეთში +1.14 ნიშნულზე გაუქმებულია ვიტრაჟი. **„გეგმების მიხედვით":** -10.20 **ნიშნულზე** ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების კვეთი. გაზრდილია მონოლითური კედლების რაოდენობა. 5-4 ე-გ მონაკვეთში ფილაში დამატებით მოწყობილია ტექნიკური ორმო. გაზრდილია რიგელების რაოდენობა. კოლონების ნაწილს მონაცვლებული აქვს ადგილი. ნაწილობრივ გაზრდილია კედლების სისქე. გ-ე მონაკვეთში გაზრდილია პანდუსის დახრის პროცენტულობა და პანდუსის გაბარიტი. **-6.80 ნიშნულზე** გაზრდილია პანდუსის დახრის პროცენტულობა და გაზრდილია გაბარიტი. სართულებზე ნაწილობრივ შეცვლილია აივნების და ტერასების გაბარიტი. **+57.80 ნიშნულზე** პარაპეტზე გაუქმებულია ლითონის მოაჯირი და მის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური მოაჯირი. ნაწილობრივ შეცვლილია შახტების გაბარიტი და მდებარეობა. შემცირებულია ლიფტის სამანქანოს და კიბის სათავსოს გაბარიტი.

2020 წლის 09 ოქტომბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა №000390 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის 2020 წლის 18 აგვისტოს №10/0120231211-17 განცხადება და ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ნირან პროპერტის დეველოპმენტი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი, სტუდქალაქის მიმდებარედ, ნაკვეთი №07/045, საკ. კოდი №01.14.06.007.045-ზე, შ.პ.ს. „ნირან პროპერტის დეველოპმენტი"-ს მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 14 სექტემბრის №415423 ბრძანებით (№4290015 04.12.2018წ. ბრძანება) შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. **„ნირან პროპერტის დეველოპმენტი"** დაჯარიმდეს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი, სტუდქალაქის

მიმდებარედ, ნაკვეთი №07/045, საკ. კოდი №01.14.06.007.045-ზე, პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. **„ნირან პროპერტის დეველოპმენტი"**-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. „ნირან პროპერტის დეველოპმენტი"**-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსი ლევან ჯღარკავა

საგადახდო დავალება No 0390

Transfer Order No 0390

ვალუტირების თარიღი/Value Date: 13/10/2020 რეფერენსი/reference: 9970996342

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს ნირან პროპერტის დეველოპმენტი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE84BG0000000327894800GEL

თანხა/Amount
15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს ნირან პროპერტის დეველოპმენტი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
204564729

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
13/10/2020

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება 000390 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: შ.პ.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 0390

Transfer Order No 0390

ვალუტირების თარიღი/Value Date: 13/10/2020 რეფერენსი/reference: 9970996342

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს ნირან პროპერტის დეველოპმენტი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE84BG0000000327894800GEL

თანხა/Amount
15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს ნირან პროპერტის დეველოპმენტი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
204564729

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
13/10/2020

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება 000390 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: შ.პ.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date: